ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ42. 42231732**

თარიღი:**22/06/2023**

,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება KAMAZ 65115 (რეგისტრაციის ნომერი ZZ 501 ZV, გამოშვების წელი - 2014, ტიპი - სპეციალური)-ის თვითმცლელად გადაკეთების შედეგად დარჩენილი ნაგვის შემკრები ბუნკერი KOMMASH KO-440B1-ის უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 21 ივნისის, Nბ42.42231722 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე" და ,,ე.ე" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება KAMAZ 65115 (რეგისტრაციის ნომერი ZZ 501 ZV, გამოშვების წელი - 2014, ტიპი - სპეციალური)-ის თვითმცლელად გადაკეთების შედეგად დარჩენილი ნაგვის შემკრები ბუნკერი KOMMASH KO-440B1-ის უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 21 ივნისის, N ბ42.42231722 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,**მუხლი 3.** განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2023 წლის 22 ივნისის 15:00 საათიდან, 2023 წლის 05 ივლისის 15:00 საათამდე".

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი